აი ისტორია

გოჩა გვასალია

UNUS MUNDUS
კოსმოპოლიტიზმი, ნაცია და იმპერია

ფილოსოფოსი იმპერატორის,
მარკუს ავრელიუსის ხსოვნისათვის

გადმოცემის თანახმად, ერთმა ინდოელმა განდეგილმა ალექსანდრე მაკედონელს შეხვედრისას უთხრა, რომ ის სამშობლოს მოწყვეტილი მთელ დედამიწაზე დაეხეტებოდა, თავსაც იტანჯავდა და სხვებსაც ტანჯავდა. სიკვდილის შემდეგ მას მიწის ის ნაჭერი დარჩებოდა, რაც მის სამარეს ეყოფოდა. განდეგილმა გაკილა ალექსანდრეს სწრაფვა მსოფლიოს დასაპყრობად. ეს გადმოცემა ბევრჯერ უხსენებიათ მეგალოთიმიის განქიქებისა და საკუთარი ეთნოცენტრისტული არგუმენტაციის განმტკიცების მიზნით. ბევრზე ბევრი რამ თქმულა უარყოფითი აზრით, ოდეს დიდი ადამიანების იმპერიულ თიმოსზე უმსჯელიათ. განდეგილობა არ ნიშნავს უეჭველ სიბრძნეს. გადმოცემა არას ამბობს, თუ რა პასუხი მიუგო არისტოტელეს დიდმა შეგირდმა განდეგილს. ალექსანდრეს სიტყვა უნდა დაეწუნებინა განდეგილისათვის და ის არგნით გაეგდო,რადგან ეს არ იყო არც განდეგილი ბრძენისათვის და არც ალექსანდრე მეფისათვის საფერი სიტყვა. პროვიდენციული ნიშანი იყო ესეც, რომ ბიბლიური ბაბილონი, ძველი იმპერიების სახელოვანი ქალაქი, ალექსანდრემ თავისი იმპერიის სატახტო ქალაქად აქცია. დღეს ერაყში, ბაბილონის ნანგრევებზე, დგანან ამერიკელი მეომრები, რომელთა მიზანიც მსოფლიო ლიბერალური იმპერიის შექმნაა. უფრო ადრე ბაბილონზე უვლიათ აზიის დამპყრობელ ბრიტანელ იმპერიალისტებს, კიდევ უფრო ადრე – არაბ იმპერიალისტებს. რას ეტყოდა ეს განდეგილი ალექსანდრეს იმპერიის მემკვიდრეების თანამედროვეს, ინდოეთის ბუდისტური იმპერიის შემქმნელს, ყველა დროის უდიდეს იმპერატორს აშოკა მაურიას (ძვ.წ.273-239 წლები)?

თუ ეს განდეგილი ამასვე ეტყოდა იმპერატორ აშოკას, რაც მან ალექსანდრეს უთხრა, რას უპასუხებდა მას აშოკა? იგი იყო უსათნოესი ბუდისტი და მაინც იმპერიალისტი. აშოკას წინაპარი,ინდოეთის მეფე ჩანდრაგუპტა მაურია ებრძოდა ალექსანდრე დიდის ეპიგონ სელევკოს ნიკატორს(მეფობის წლები 312-280). სელევკიდების იმპერია, ასევე მაკედონია და შემდეგ მთელი საბერძნეთი დაიმორჩილა რომმა. ანტიმაკედონელ დემოსთენესა (ძვ.წ.384-322 წლები) და პრომაკედონელ იმპერიალისტ ისოკრატეს (ძვ.წ.436-338 წლები) კამათში ისოკრატე იყო მართალი. ეს დრომ წარმოაჩინა. ელინიზმს აღმოსავლეთში უნდა დაეწყო ექსპანსირება და მაკედონიის მეფე ფილიპე II ისოკრატესათვის ბარბაროსი კი არა, როგორც დემოსთენე ამბობდა, არამედ ელინი და ჰერაკლეს შთამომავალი იყო. პლატონი რომ ამ ჟამს ცოცხალი ყოფილიყო, მოიწონებდა ის არისტოტელესეულ და ალექსანდრესეულ მსოფლიოს დაპყრობის იდეას? პლატონი დემოსთენეს მომხრე იქნებოდა თუ ისოკრატესი?

მთელი ისტორია ძველი მსოფლიოსი არის იმპეროგენეზი და იმპერიების ბრძოლა. ესვე გრძელდება ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ. ყველა თიმოსზე უძლიერესი და უდიადესი თიმოსი ადამიანში ეს არის მსოფლიო გაერთიანებისათვის, იმპერიის შექმნისათვის ომი. კაცის სახელის განდიდება და უკვდავყოფა ყოველ ჟამს ამ თიმოსს უკავშირდება, რომელიც ადამიანს, როგორც ძალაუფლების ჰიერატიზაციის შემძლე პოლიტიკურ არსებას, მისი გაჩენიდან თან სდევს. იმპერიულობა არის ისტორიაში მყოფი ადამიანის **primum datum** (პირველი მოცემულობა) ინვარიანტული იდეარული პროცესი.ეს არის ისტორიაში გამოვლენილი სასწაული. ნიცშეს ნაშრომში „ნება ძალაუფლებისაკენ“ ცნება „დიდი პოლიტიკა“ კურსივით გამოყოფილია (პარ. 463). მონარქიზმის, რევოლუციონიზმის, მასონობის, ეკუმენიზმის, გლობალიზაციის იდეებში მიზნად დასახულია მსოფლიო ერთობის შექმნა. ადამიანის ევოლუციაში ბევრი რამ დღემდე ბნელით არის მოცული, მაგრამ ეს კია უცხადესი, რომ ყველა რასაში არის მახსოვრობა და სწრაფვა მსოფლიოს გაერთიანებისაკენ. **Unum et idem** (ერთი და იგივე). ერთია კაცი ყველგან. ერთია მისი საფიქრალი და საღვაწო ყველა დროში.

შეუძლებელია რაიმე ახლის თქმა იქ, სადაც დიდი საისტორიო მოვლენები ბაბილონის ნაშთებივით ძველია თავისი არსით. ამ მოვლენათა ინტერპრეტაციისას ახალია მხოლოდ ის ტერმინოლოგიური აპარატი, რომლის მეშვეობითაც შეისწავლება განმსაზღვრელი ფაქტების ჯაჭვედი. ფორმაციული მეთოდოლოგიით იქნება განხილული საისტორიო არტეფაქტები თუ ცივილიზაციური მეთოდოლოგიით, განხილვის რეზულტატი უცვლელია. იმპერიის ფესვი ყოველთვის

თავს იჩენს მონათმფლობელობის, ფეოდალიზმის, კაპიტალიზმის, სოციალიზმის, სადღეისო ლიბერალ-კაპიტალიზმის საფეხურებზე. შუამდინარეთის ცივილიზაციიდან ვიდრე დასავლურ ცივილიზაციამდე იგივე იმპერიული ფესვი, ბასილიკე რიძა იჩენს თავს.

სამეცნიერო ნარკვევის შემეცნებითი ღირებულება ისაა, რომ მასში გადმოცემული დასაბუთებული მსჯელობის მიხედვით უნდა წარიმართოს სხვათა შემდგომი მსჯელობანი ამა თუ იმ საკითხზე. მეცნიერთა საკმაო ნაწილის სისუსტე ისაა, რომ ფაქტების სიმრავლის მიღმა მათ უჭირთ დანახვა ერთისა, მსაზღვრელისა. მათ უჭირთ გენერალიზება (განზოგადება) და უფრო კონსტატაციისკენ მიიდრიკებიან, ვიდრე ჰოლისტური ანუ ინტეგრალური ინტერპრეტაციისკენ. ამის გამო მრავლად არიან საისტორიო ვერსიფიკატორები, რომელნიც ფლობენ სამეცნიერო შაბლონებსა და სტანდარტებს, წერენ ტრაფარეტულ წიგნებს, მაგრამ ორიგინალურს ვერას იტყვიან. საკითხის მიჩუმათება და გადასხვაფერებაც ძალზე ხშირი შემთხვევაა.

შევეცდები აქ ვთქვა ის, რაც დიდად აკლია ქართულ საისტორიო აზროვნებას. გლობალური საკითხების მინიატურიზება, მათი დამცრობა ეთნოცენტრისტული სალაყბოს ნიშნულამდე, ვულგარული ადაპტაცია და ეთიკური ფალსიფიკაცია მეტად ფეხმოკიდებულია. აღარაა საჭირო იმის ციტირება, რაც უკვე დიდი ხანია ცნობილია და რაც არ გამოდგება საკითხის შესამეცნებლად. სადღეისო იდეური და პოლიტიკური დევალვაციის (გაუფასურების) ჟამს რადიკალურად უნდა დაისვას საკითხები: რა არის ისტორიის საზრისი? რა უნდა ვიგულისხმოთ პროგრესის ცნებაში, როდესაც ევროპული განმანათლებლობა დასრულებულია? რამდენად შინაარსობრივია სადღეისოდ სუვერენიტეტისა და დემოკრატიისადმი ისეთივე აპელირება, როგორც ეს ხდებოდა გასული საუკუნის 90-იან წლებში? ფუკუიამასეული ისტორიის დასასრული და ლიბერალური პანკოსმიონი არ განხორციელდა და ვის შეიძლება ეწოდოს ისტორიული ადამიანი, რომელიც ქმნის იდეურ ალტერნატივას? რა არის ისტორიული, როგორც ლიბერალ-კაპიტალიზმის კონტრარგუმენტი? რამდენად შესაძლებელია ახალ ფორმაციაზე საუბარი?

მითებსა და რელიგიურ გადმოცემებში ყველგან შემონახულია მახსოვრობა ადამიანთა თავდაპირველ ერთობისა. ტომთა, ეთნოსთა და ნაციათა შექმნას წინ უსწრებს მსოფლიო ერთობა. მითოლოგიაში ეს ყველგან აღინიშნება ისე, როგორც ისტორიული ფაქტი. ყველა დიდი რელიგიის მიზანი არის მსოფლიო სახელმწიფო, სადაც ხალხები რელიგიური იდეით გაერთიანდებიან და ერთურთისთვის მოყვასნი იქნებიან. ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში ოქროს ხანად ითვლება მისი იმპერიულობის საუკუნე. ასე იყო უძველესი დროიდან, როდესაც არ-

სებობდა ასირიის, ეგვიპტის, სპარსეთის იმპერიები. მას შემდეგ გაჩნდა ახალი მსოფლიო რელიგიები, პოლიტიკური მოძღვრებები, მოხდა დიდი რევოლუციები, მსოფლიო ომები, მაგრამ იმპერიის იდეის იმპერატიულობა ადამიანისათვის უცვლელი დარჩა.

იუდაიზმი არის საღვთო რასიზმის რელიგია, მაგრამ აქაც კი, შესაქმის წიგნში, დასაწყისიდანვე ნაამბობია ადამიანთა მსოფლიო გაერთიანებასა და ბაბილონის გოდოლზე. ქამის შვილიშვილი, ქუშის ძე ნიმროდი „იყო პირველი ძლევამოსილი ადამიანი დედამიწაზე". „და მისი სამეფოს რჩეული ქალაქები იყო: ბაბილონი, ერექი, აქადი და ქალნე, შინყარის მიწაზე. ამ მიწიდან გამოვიდა აშური და ააშენა ნინევე, რებოთ-ქალაქი, ქალახი" (დაბ.10:10-11). შინყარის მიწაზე იყო პირველი მსოფლიო სახელმწიფო, მეფე ნიმროდის იმპერია. „მთელ ქვეყანას ერთი ენა ჰქონდა და ერთნაირი სიტყვები" ... შემდეგ თქვეს: „აბა, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. და შევიქმნათ სახელი, რომ არ გავიფანტოთ მთელი ქვეყნის ზურგზე" (11:2,4).

უკვე დაყენება საკითხისა იმპერიის შესახებ არის დაგმობილი. ის მიიჩნევა ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილად. ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ახლანდელ ლიბერალიზებულ გარემოში იმპერიის საკითხი გაუქმდა და მასზე მხოლოდ წარსულ დროშია შესაძლებელი საუბარი. თუ რაიმე ითქმება, ყოველთვის გმობითა და უარყოფით უნდა ითქვას. არსებითი კი ისაა, რომ ამ საკითხზე მომავალ დროში უნდა ითქვას და არა წარსულ დროში. საკითხი უნდა დაისვას ასე: როგორი იქნება მომავალში მსოფლიო იმპერია და ვინ იბრძოლებს მისი განმტკიცებისათვის? ამ კითხვის გაქიაქება ცივილიზებულ მსოფლიოსა და დემოკრატიაზე მითითებით არის სამეცნიერო არაკეთილსინდისიერება ან პროვინციული უცოდინრობა. პოლიტოლოგიური ფოლკლორის გასაღება შეურიგებელ ეთიკურ ნამსჯელად და მეცნიერულად დასაბუთებულ უაპელაციო მსჯავრად დამაბრკოლებელია საკითხის გაგების საქმეში. ეს დაუსრულებელი დანამუსება და დამუნათება არის პოზიორობა და ფალსიფიკაცია. იმპერიის საკითხზე ზღვა ნაწერის უდიდესი ნაწილი შემეცნებით ღირებულებას მოკლებულია. გამუდმებული ნეგაცია, დეტრაქციული (საკილავი) განსჯა, რომელიც ოც წელზე მეტია გრძელდება, მოჩვენებითი რადიკალიზმი, მყვირალა ვერდიქტები იმის მაჩვენებელია, რომ იმპერიის საკითხი არ გაუქმებულა და ის აწმყოს შემადგენელია. საკითხი მოქცეულია პუბლიცისტური ემფატიზმების ტყვეობაში, რითაც იქმნება მისგან თავდახსნის ილუზია.

არაა სწორი ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრი, თითქოს ისტორია არ ცნობდეს კავშირებით კილოს. ისტორიკოსმა ნამყოს

გააზრებით უნდა განიხილოს ის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო. ისტორიას არ უნდა წაერთვას ევენტუალური დისკურსის შესაძლებლობა. ერთადერთი საცდური აქ ისაა, რომ ევენტუალური გააზრება არ გადაიქცეს პოლიტიკურ მეზღაპრეობად, მორალისტურ მარჩიელობად, რითაც ისედაც კომპრომეტირებულია ფაქტებზე ორიენტირებული პოლიტოლოგია.

რაც უტრივიალურეს მოვლენად არის წარმოჩენილი, რაც განზრახ დამახინჯებულია და ყოველთვის დიდი მიკერძოებით ირჩევა, სინამდვილეში უნიკალური რამ არის მაშინაც კი, როდესაც იმყოფება დაცემის სტადიაში. ის, რაც თითქოს საბოლოოდ დაგმობილია, კვლავ და კვლავ მოითხოვს შემმეცნებლისაგან დაფიქრებას, რადგან იგი ადამიანის ბედისწერაა, ადამიანის ცხოვრების ფუნდამენტური თვისებაა. ეს არის იმპერიის იდეა, ნაციისა და იმპერიის კონფრონტაცია და კორელაცია, ნაციის ამაღლება მსოფლიო უნივერსულ იდეამდე.

ახლანდელი ეთნოცენტრისტი ლიბერალი კრიტიკოსი იმპერიის იდეისა კი მიუთითებს ბაბილონის გოდოლის ამბავზე, როგორც ღმრთისათვის არასათნო ქმედებაზე, მაგრამ გოდოლის მიტოვებას წინ უსწრებდა კაცთა მსოფლიო ერთობა. წყალთრღვნის შემდეგ ახალი მსოფლიოს დასაბამს ნიმროდის იმპერია იყო პირველი დიდი მოვლენა ადამიანის მატიანეში. სემის, ქამის და იაფეტის ჩამომავალნი ერთ ენაზე მომეტყველე ერთი ქალაქის მოქალაქენი არიან, რომლის მეფე არის ნიმროდი, ძე ქუშისა, ძე ქამისა, ძე ნოესი. შეიწყალა შერისხული სამყარო ღმერთმა და რაც პირველად აღმოცენდა მიწის პირზე, როგორც საყოველთაო და საშვილიშვილო, იყო იმპერია. იმპერიის ლიბერალი უარმყოფელი ამბობს, რომ ღმრთის ნებით შეწყდა გოდოლის შენება და ეს არის დასტური, რომ იმპერიის შექმნა ღმრთის საწინააღმდეგო საქმეა, რომ ეს არადემოკრატიული და არაცივილიზებული გზაა. ლიბერალი ამბობს, რომ ყველა იმპერია იშლება. ის მიუთითებს წარსულზე, სადაც მრავლადაა იმპერიების ნაშთები. ამის მიუხედავად ლიბერალი ეთნოცენტრისტის მსჯელობა მაინც არაა სწორი.

იყო ნიმროდის იმპერია და ბაბილონის გოდოლი. თორას მძვინვარე ღმერთმა კი არ შეაჩვენა და იავარჰყო ბაბილონის გოდოლი, არამედ ეშმაკობით შეაჩერა მისი შენება. ამგვარად, ღმერთი ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ ოდესღაც გოდოლის შენება გაგრძელდება. ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მსოფლიო ეკლესიის გოდოლი უნდა აშენდეს და იდგეს საუკუნოდ. ქრისტეს იმპერია უნდა დაარსდეს. ეკლესიის სწავლება იმპერიულია და ის კოჭს ვერ უგორებს ლიბერალ ეთნოცენტრისტებს. ლიბერალიზმით შენიღბული ეთნონარცისიზმი ვერ იქნება იმპერიის კონტრარგუმენტი. ცხოვრებას თავისი ძველი და უცვლე-

ლი, ათასწლეულებში გამოტარებული კანონები აქვს. დემოკრატიაზე წლობით ლაპარაკი ამას ვერ გადაასხვაფერებს. ნებისმიერი დიდი რელიგიის რჯულის წიგნი არის საიმპერიო წიგნი, რომლის მიხედვითაც იქმნება მსოფლიო უნივერსული სახელმწიფო. იმპერიალისტი და მონდიალისტია ბრაჰმანიც, ბუდაც, ქრისტეც და მუჰამედიც. თავად ქრისტეა ახალი იმპერატორი, ღვთიური ნიმროდი. ორმოცდამეათე დღის სასწაული არის ერთი მსოფლიოს სიმბოლო. ის არის ბაბილონის გოდოლის ანტიპოდი,ისევე როგორც ქრისტე არის კრულებაში მყოფი ადამის ანტიპოდი, სახარების წყალი – თორას წყლისა. თორაში წყალი უფლის წყევლა და წყმედაა, წარღვნის სახით გამოვლენილი რისხვაა. სახარებაში წყალი წყალობაა ახალი ადამიანისთვის, განახლებული ცხოვრების მენიშნეა. ქრისტე არის წყალიც და ცეცხლიც. ევა შერისხულია საუკუნოდ, ხოლო მარიამი უფლის ცეცხლის წიაღქმნის შემძლე და მესიის მშობია. მიწიერმა ქალმა უშვა სოფელს მსოფლიო ყრმა და სამყაროს იმპერატორი.

მოსეს სწავლების ქრისტესეულმა ახსნამ იუდაიზმის ტექსტები დააყენა მსოფლიო რელიგიების გვერდით. მანამდე იუდაური ტექსტების კორპუსი იყო ეთნიკურ-კონსპიროლოგიური, სეგრეგაციული ბუნებისა. ქრისტეს შემდეგ მიენიჭა ებრაულ ენას ასეთი დიდი სტატუსი. ის განიხილება როგორც ქრისტეს იმპერიის შემამზადებელი ენა.

მცდარია მსჯელობა, რომლის თანახმადაც ებრაელებმა ქრისტე უარყვეს თითქოს იმ მიზეზით, რომ მათ მსოფლიო ძალაუფლება სურდათ. ქრისტეს შემდეგ იუდაური მესიანიზმი დაიჩრდილა და ქრისტიან დეტრაქტორთა(მკილველთა) მიერ. იუდეველთა მესიის მოსვლა დღემდე აღიხსნება როგორც სატანის მოსვლა მსოფლიოს გაერთიანებისთვის. იუდეველთა მესიანიზმი შეჩვენდა და სატანიზმად შეირაცხა ეკლესიის მამათა მიერ. ისრაელის სამანებზე თავად ღმერთი იუწყება. არაერთხელაა თორაში ნათქვამი, რომ დასავლეთის ზღვიდან ეგვიპტის მიწამდეა გადაჭიმული აღთქმული მიწა. თორას ღმერთი არ ეტყვის თავის რჩეულ მოსეს, რომ წავიდეს და მოიმოწაფოს ხალხები. ქანაანში შესვლაზეა ლაპარაკი მოსეს ბანაკში და არა მსოფლიოს დაპყრობაზე, განსხვავებით არაბებისაგან, რომელნიც ასევე უდაბნოდან გამოვიდნენ და თავიდანვე მსოფლიოს დაპყრობა დაისახეს მიზნად. მუჰამედისათვის გაცხადებული ჭეშმარიტება ყველა ხალხს უნდა ეუწყოს. მუჰამედი დიდსულოვანი იყო ქრისტიანობისა და იუდაიზმის მიმართ. ქრისტიანობისთვის კი იუდაიზმიც და ისლამიც სატანისეული იყო. იუდეველს არასოდეს უთქვამს რაიმე მსოფლიოს დაპყრობაზე. მოსეს ბანაკში არავის უთქვამს, თვით იეჰოშუა ბენ ნუნსაც, რომ ქანაანი კი არა, უფალო, მთელი მსოფლიო მოგვეცი მახვილით წასაღებად,

რადგან მეტად აღარ დადგება ღმერთი ნათლის სვეტად მისგან მრავალგზის შერისხულ და გვემულ თემთან. აბა არაბთა თემთან დამდგარიყო ღმერთი ხილულად. ერთი კაცის, მუჰამედ წინასწარმეტყველის ხილვებისა ირწმუნა არაბმა და სად გავიდა. მოსეს ბანაკში ღმერთი ყველასთვის ხილული იყო და მაინც ძლივს აკავებდა მოსე თემს, რომ არ გაჰქცეოდა ის უფალს უდაბნოდან და ისევ ეგვიპტეს არ მიჰბრუნებოდა. ღმრთისგან მრავალგზის ყვედრებული და სასტიკად დასჯილი იუდეველი, მისი ხილული შემწეობითა და კრულვით ძლივს შევიდა ქანაანში. თვით მოსეც ვერ ეღირსა აღთქმულ მიწაზე შესვლას. მომაკვდავმა მოსემ ჰყვედრა ისრაელის თემს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ უარეს უმადურობასა და სიმდაბლეს გამოავლენდა უკვე ქანაანში შესული ებრაელობა.

იუდაიზმის მიხედვით, ჭეშმარიტი რჯული მხოლოდ წმინდა თესლმა, თორას ხალხმა იცის. წინასწარმეტყველთა თანახმად კი, სხვა ხალხებმა ეს შორეულ მომავალში უნდა შეიტყონ. არა მოსეს ხუთწიგნეულში, არა სოლომონის იგავებში, არა იობის წიგნში, არა ეკლესიასტესთან, არა მეფეთა ქრონიკებში, არამედ წინასწარმეტყველთა წიგნებშია გამოთქმული იუდაისტური უნივერსალიზმისა და მსოფლიურობის იდეა. სხვა ხალხებიც იწამებენ თორას ღმერთს. იმ ეგვიპტეზე, იმ აშურზე, მრავალგზის რომ მუქარა შეუთვლია და შეურისხავს ცაბაოთ უფალს, ასეა ნაუწყები ესაიას მიერ: „ ...დაემონება ეგვიპტე უფალს აშურთან ერთად“ (19:23). „იმ დღეს მესამე იქნება ისრაელი ეგვიპტესთან და აშურთან ერთად; კურთხევა იქნება ქვეყნის შუაგულში“ (19:24). „რადგან ბრძანებს კურთხევას ცაბაოთ უფალი: კურთხეულ იყოს ჩემი ერი ეგვიპტე, ჩემ ხელთა ქმნილება აშური და ჩემი სამკვიდრო ისრაელი“ (19:25). „უცხოთა შვილებს...მივიყვან ჩემს წმინდა მთაზე და ჩემს სამლოცველო სახლში გავახარებ. ...რადგან ჩემს სახლს ყველა ხალხის სამლოცველო დაერქმევა“ (56:6-7).

ესაა იუდაისტური მესიანიზმის სული, რომელიც გაიკილა და უარიყო ეკლესიის მამათა მიერ მათ ქრისტეს მოსვლის შემდეგ იუდაისტური მესიის მოლოდინი დანაშაულად მიიჩნიეს და შერისხეს. იუდეველთა მესიანისტური მოლოდინი ქრისტეს უარყოფაა. ესაიას ნაუწყები სიტყვით, მთელი მსოფლიო თორას შეუდგებოდა და იერუსალიმი იქნებოდა ყველა ხალხის სულიერი სამშობლო. ქრისტიანული მესიანიზმი ვერ აუქმებს იუდაისტურ მესიანიზმს. ეკლესიის მამები ესაიაზე მიუთითებენ, როგორც ქრისტეს მოსვლის მაუწყებელზე. იუდაიზმის მიხედვით, ცაბაოთ უფლის პანტოკრატორობა მხოლოდ იაკობის თემში დასტურდებოდა. ეს სიძნელე იუდაიზმისა, რომ თუ ღმერთი ყოვლისმპყრობელია, მაშინ ის უნდა ღმერთობდეს ყამონი-

ანელების, ამორეველების, ხეთელების, ფილისტიმელების, ყამალეკიანების და სხვა ხალხებისათვის, გადაიჭრა მხოლოდ იუდაიზმის ქრისტესეულ ინტერპრეტაციაში. ამ სიძნელის გააზრების მცდელობაც კი არსადაა თალმუდის კრებულებსა და მისი თანამდევი წიგნების დიდ რაოდენობაში. ეს არაა კაბალისტურ წიგნებში, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კაბალიზმმა დაიწყო პროზელიტობა ყველა ხალხისათვის.

დიდი აზრი, დიდი კულტურა სწორედ იმპერიებში შობილა. ყოველმა მოდგმამ, ვინც ისტორიაში საშვილიშვილო კვალი დატოვა, იმპერიალისტი იყო. იმპეროგენეზი არის ადამიანის ისტორია და არა ნაციოგენეზი. ჭეშმარიტი ნაციოგენეზი მიდის ისევ იმპერიამდე, მიუხედავად იმისა,რომ ის აღმოცენდა იმპერიასთან დავაში და არის იმპეროგენეზის საპირისპირო მოვლენა. იმპერიები იშლებოდნენ იმისთვის, რომ უფრო ძლიერ იმპერიებს ჩაჰყროდა საფუძველი. იმპერია ტელეონომიური (მიზანშეწონილობასთან დაკავშირებული) და პროვიდენციულია. ბაბილონის გოდოლის შენება ყველა საუკუნეში გრძელდება და თითოეულმა ხალხმა თავისი ქვა უნდა დადოს მის კედელზე. გოდოლის შენება მისი მაშენებელი ხალხისათვის არის როგორც იაკობისა და ღმერთის ბრძოლა. ძველისძველი მითი ბაბილონის გოდოლზე უნდა გაგრძელდეს ტექნიკის ტრიუმფის საუკუნეშიც. თავად ტექნიკაა საყოველთაო მითი, რომელმაც სხვა მითები უნდა აცხოველოს. ტექნიკა არაა ანტიმითი. ის უმითესი მითია, დიადი მითოსია, რომელიც ღმერთის შემეცნების საკითხს უჩვეულო განასერში წარმოაჩენს. ეკოლოგიაზე ლაპარაკი არაა ტექნიკის მითის კონტრარგუმენტი. მითი მორჭმით ავლენს თავს იქ, საიდანაც თითქოს სამუდამოდ განდევნილია. ტექნიკაა ის სუპრარელიგიური უნივერსული ანთროპოდიცეა,რომელიც ყოველი მოდგმის კაცს სახელით მოსავს. ტექნიკის მითში ვლინდება ბაბილონის გოდოლის შორეული სახება. ეს გაცილებით დიდი რამ არის, ვიდრე გლობალიზაცია. ნიმროდის გოდოლის ჩრდილი ეცემა ამა ჟამის კაცთა სამყოფელს. გოდლოის გოდოლი იმპერიისა. ბოლო ჟამს ანტიქრისტესა და ქრისტეს ერთი საზრუნავი ექნებათ. ეს არის მსოფლიო იმპერიის შექმნა. თავად ღმერთი დადგება ნიმროდად, ხალხთა შემკრებად და გოდოლის მაშენებლად. ეს ჟამი უკვე დაიწყო.

კოსმოპოლიტიზმი და ეთნოცენტრიზმი

ელინისტური ოიკუმენაა ის, რაც ალექსანდრე მაკედონელმა შექმნა. ბერძნული კულტურის ზენიტი მისი კოსმოპოლიტურობაა. ქრისტეს მოსვლამდე ალექსანდრემ თავისი მოძღვრის არისტოტელეს

საწინააღმდეგოდ აღასრულა პრინციპი, რომ დიდი იდეა – ელინობა ყველასთვის იყო და ყველანი ელინობისთვის იყვნენ. არისტოტელეს „პოლიტიკის“ მეორე ნაწილის მეშვიდე წიგნში (თავი VI) ნათქვამი აქვს რომ ბერძნები საუკეთესონი არიან ევროპელებსა და აზიელებს შორის თავისი სახელმწიფო წყობილებით და შეუძლიათ ყველა ხალხის ხელმძღვანელობა, თუ მათ ერთიანი სახელმწიფო ექნებათ.

ალექსანდრეს ათი წელი კიდევ რომ ეცოცხლა, აზიისა და მსოფლიოს ისტორია სხვაგვარი იქნებოდა. თავისი იმპერიის სატახტო ქალაქად ალექსანდრემ ბაბილონი გამოაცხადა. ამაში არის დიდი აზრი. თორასეული ნიმროდის იმპერია კვლავ განსხეულდა. ალექსანდრე დიდის ოიკუმენე მოგვიანოდ რომაელებთან იყო **orbis Romanus**. შემდეგ სიტყვა ოიკუმენე გადმოდის სახარებისეულ ბერძნულში, გახდა ახალი აღთქმის ცნება (ლუკ. 2:1; საქმ. 24:5) და გაიგება როგორც იმპერია, რომის იმპერია. მოციქულთა ეპისტოლეებიც ოიკუმენურ-იმპერიულია. პეტრე, პავლე და სხვა მოციქულნი ქადაგებენ ქრისტეში მდგარ უნივერსულ ადამიანსა და მის ეთიკაზე, ქადაგებენ არა ოიკუმენიდან ხალხების განცალკევებაზე, არამედ ოიკუმენეში ხალხთა ერთობაზე. დაიშალა რომის იმპერია და ქრისტეს სიტყვამ, მისმა ეკლესიამ, იმპერია ისევ უნდა აღადგინოს. ეს იქნება ყოველი მწიკვლისაგან განწმენდილი ქრისტიანული რომი. ეკლესიის მოღვაწეობა მისი პირველი დღეებიდანვე იყო იმპერიული. დაშლილი რომის იმპერიის ხალხები კი არ უნდა მიმოიფანტონ, არამედ კვლავ უნდა ერთობდნენ განახლებულ, მადლმოსილ რომში.

ოიკუმენესთან, იმპერიასთან და ბასილეიასთან ორგანულად დაკავშირებულია დიდად ჭირნახული სიტყვა „კოსმოპოლიტიზმი“. კოსმოპოლიტი ნიშნავს მსოფლიო მოქალაქეს. რომაელ სტოიკოსებთან მას დიდი ფილოსოფიური და იმპერიული მნიშვნელობა აქვს.

კოსმოპოლიტური მრწამსი ანტონინუსთა დინასტიის მაშვრალ წარმომადგენელს, ფილოსოფოსსა და მეომარს, იმპერატორ მარკუს ავრელიუსს თავისი თხზულების „ფიქრების“ მეოთხე და მეხუთე წიგნებში კარგად აქვს გამოხატული. მარკუს ავრელიუსი იმპერიას მახვილით იცავდა. მის წიგნში ადამიანის სათნო ცხოვრებაზეა მსჯელობა და არა სეპარატისტულ თვითგამორკვევაზე. ელინისტი და ალექსანდრე დიდის იდეური მემკვიდრე იყო მარკუს ავრელიუსი. ის ქრისტიანობას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მის ნააზრევსა და იმპერიულ ნაღვაწზე დაეშენა ქრისტიან მამათა სწავლება უნივერსულ ქრისტიანულ სახელმწიფოზე. დიდად ემსგავსებიან მარკუს ავრელიუსს ეკლესიის მამები, რომელნიც იმპერიას იცავენ, მსჯელობენ ქრისტიან ადამიანზე და არა თვითგამორკვევაზე. მარკუს ავრელიუსი ამბობს: „მე ჩემი

სამშობლო მაქვს და ჩემი ქალაქი: როგორც ანტონინუსს – რომი, როგორც კაცს – სამყარო“ (წიგნი მეექვსე, 44). პავლე მოციქული კი ფილიპელთა მიმართ ამბობს:„ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია“ (3:20).

რომაულ კოსმოპოლიტურ სტოიციზმში წარმოიშვა **Civitas Dei**-ს (ღვთის ქალაქის) იდეა, რაც გადაიღო ქრისტიანობამ. სამყარო და ქალაქი სტოიკოს კოსმოპოლიტებთან იგივური ცნებებია. ავგუსტინესთან ამ იდეამ მიიღო დასრულებული სწავლების სახე. ავგუსტინეს ეფუძნება ქრისტიანული უნივერსალიზმისა და იმპერიალიზმის თეოლოგია. ალექსანდრე დიდის კვალად მარკუს ავრელიუსი რომის იმპერიაში ხედავდა არა რომაელებსა და ბარბაროსებს, არამედ ადამიანებს. ეს ეკლესიის მამებისთვისაც ასეა. ქრისტიანული ღვთის ქალაქის ქვეშევრდომი ცხონდება, მის გარეთ მყოფი კი წარიწყმიდება. სტოიკური ფილოსოფიური პრინციპი ავგუსტინესთან იქცა თეოლოგიურ ექსტრემუმად. ქრისტეს იმპერიას ჰქონდა სოტერიოლოგიური მიზანი. მთელი იმპერია ტემენოსია (ღმერთის ვლენის ადგილია). იმპერიის ტერმინუსები (საზღვრები) აღნიშნავს ღვთის მადლის მიწაზე გების მასშტაბებს. მის იქით რაც არის, ის ღვთის მადლს მოკლებულია. ქრისტიანს უხამს მისი შემოერთება, ხალხთა სიტყვითა და მახვილით მომოწაფება.

კოსმოპოლიტიზმი ვლინდება იტალიურ ჰუმანიზმსა და რენესანსში, ყველა უტოპიურ სწავლებაში. რენესანსული ხელოვანი უნივერსულია. ახალი კოსმოპოლიტიზმია ფრანგული რევოლუციის იდეები. XIX საუკუნის ევროპაში კოსმოპოლიტიზმი ვლინდება პოლიტიკურ მოძღვრებებში. ევროპელი კულტურტრეგერი პროგრესის სახელით შედიოდა მსოფლიოს უშორეს მხარეებში. ევროპაშივე მიიღო კოსმოპოლიტიზმის ცნებამ ნეგატიური განმარტება ნაციონალისტი რევოლუციონერების მხრიდან. საბჭოთა მარქსიზმში კოსმოპოლიტიზმი მუდამ იგმობოდა როგორც ბურჟუაზიული თეორია, რომელიც ქადაგებდა გულგრილ დამოკიდებულებას სამშობლოსადმი, პატრიოტიზმისა და საკუთარი ხალხისადმი, მისი კულტურისადმი. საბჭოთა მარქსიზმის მიხედვით, კოსმოპოლიტიზმი უარყოფს ნაციონალური სუვერენიტეტისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლას და ცდილობს მსოფლიო მთავრობის დამკვიდრებას. საბჭოთა იდეოლოგია კოსმოპოლიტიზმს უპირისპირებდა ნაციონალურ დამოუკიდებლობის იდეას და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს. კოსმოპოლიტიზმის ასეთი შეფასება რომ წაეკითხათ მარკუს ავრელიუსს, ავგუსტინეს, ბასილი კესარიელს, მაქსიმე აღმსარებელს, ბერნარ კლერვოელს, თომა აკვინელს, ცხადია, აღშფოთდებოდნენ. ეს შეფასება კოსმოპოლიტიზმისა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა

ჩანდეს, მომდინარეობს პროტესტანტული პოლიტიკური თეოლოგიიდან და ფრანგული განმანათლებლური რევოლუციონიზმიდან. ორივე მათგანი იყო პაპისტური უნივერსალიზმისა და პანევროპული მონარქიულ-კათოლიკური იმპერიის მტერი. კოსმოპოლიტიზმის ბოლშევიკურ გმობაში ისმის ლუთერის, ცვინგლის, კალვინის ხმები და ფრანგ რევოლუციონერთა ყიჟინა. გაცვეთილ და მომაბეზრებელ იდეოლოგიურ შაბლონში ხშირად დიდი აზრი იმალება. ამას მახვილი თვალი ყოველთვის დაინახავს. დიდი შინაარსობრივი განსხვავება კოსმოპოლიტიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის არ იყო. ეს იფარებოდა იდეოლოგიური შეფასებების კატეგორიულობით. დასავლელ ლიბერალთა მიერ საბჭოთა ინტერნაციონალიზმის გმობა ზუსტად ისეთივე იყო,როგორც კომუნისტთა მიერ ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის გმობა. ამ საკვირველ მოვლენას ახლანდელ ისტორიკოსთაგან და ღვთისმეტყველთაგან არავინ მიაქცია ყურადღება. დასავლეთი უარყოფდა საბჭოთა უნივერსალიზმსა და იმპერიას საბჭოთა ხალხების დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე მითითებით. დასავლეთი ხალხთა თვითგამორკვევისა და სუვერენიტეტის პრინციპს კომუნისტური ინტერნაციონალიზმის გმობისთვის იყენებდა. ამ დიდად საგულისხმო ვითარების გააზრებით, როდესაც ორი სისტემა ერთურთს უარყოფს ერთი და იმავე არგუმენტების მოხმობით, დაგვანახებს, რომ იმპერიის იდეა, იმპერია, როგორც ისტორიის ინვარიანტული და კონსეკვენტური მოვლენა, დგას ორი ბანაკის მტრობაზე მაღლა. დეფინიცირების ვარიაციები ბევრია და ამ სიმრავლის მიღმა დგას ბაბილონის გოდოლის დიდი, იმპერიული ნომოსი. აზიის დეკოლონიზაციის დროს კომუნისტები დასავლეთს მიუთითებდნენ ხალხების დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე. ისინი ხელს უწყობდნენ კოლონიალისტური იმპერიების დაშლას. ლიბერალები კი მიუთითებდნენ საბჭოთა ხალხების დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე და ლამობდნენ საბჭოთა იმპერიის დაშლას. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ კოსმოპოლიტიზმი კვლავ გასაკილავი გახდა ანტისაბჭოთა ნაციონალისტი დისიდენტებისა და ეთნოცენტრისტი შარლატანებისათვის. დასავლური დემოკრატიის იდეა ქრისტიანობასთან ერთად მათ საკუთარი ნაციონალიზმის ურყევ ბურჯად მიიჩნიეს, რაც თავიდანვე უაზრობა იყო. დემოკრატია კოსმოპოლიტიზმის ერთ-ერთი სინონიმია. ის ეთნონაციონალიზმისათვის მცირე ადგილს ტოვებს მსოფლიო პოლიტიკაში. ეს სიონისტების, მასონებისა და მონდიალისტების ბრალით კი არ ხდება, როგორც ეთნისტები ბრიყვულად განმარტავენ, არამედ მსოფლიო ისტორიის ენდოგენური თვისებაა. ანტიმარქსისტმა დისიდენტებმა დაამკვიდრეს აზრი, რომ მარქსიზმი ეროვნებისა და სამშობლოს

მტერია, კოსმოპოლიტური მოძღვრებაა. ლიბერალ-დემოკრატია კი ნაციონალიზმის ინტერესების მაქსიმალურად გამომხატველი მოძღვრებაა. ამის მტკიცება დღემდე გრძელდება სამეცნიერო ტრიბუნიდან. მონდიალისტი და გლობალისტი იყო მარქსი, მაგრამ კაპიტალიზმის თეორეტიკოსებიც ასეთები იყვნენ, რაც არ დაინახა მარქსის მაგინებელთა ჭრელმა დასმა. ნეომონდიალისტია ფრენსის ფუკუიამა და მისი ისტორიის დასასრული ჩამოჰგავს მარქსისეულ ისტორიის დასასრულს. ორივე მათგანი ლაიცისტური ქილიაზმია.

კოსმოპოლიტურია და იმპერიული სოციალიზმიცა და კაპიტალიზმიც. დრომ დაუნდობლად წარმოაჩინა დისიდენტების პოლიტიკური დისკურსის მცდარობა. ისინი არც ნაციონალისტებად გამოდგნენ. მათ მოახდინეს რელიგიის ეთნიზაცია და სურდათ ღმერთი თავის მოკავშირედ გამოეყვანათ კოსმოპოლიტიზმის გმობისას. ღმერთი, როგორც კოსმოკრატორი (სამყაროს მეუფე), მათი მოკავშირე ვერ იქნებოდა. ეთნოცენტრისტი დისიდენტი აღმოჩნდა ერთგანზომილებიანი ადამიანი სამგანზომილებიან პოლიტიკურ კოსმოსში, ის აღმოჩნდა საშინელი პროფანი და პოლიტიკის უმეცარი.

აზრით ძლიერი როდესაც ხარ, სიმაღლესა და ჰორიზონტს როდესაც ფლობ,მაშინ ვერ იქნები ეთნოცენტრისტი. საკუთარი სული აგიჯანყდება. აზრის ასპარეზმა, ფილოსოფიამ გამოსცადა მრავალი კაცი და დაიწუნა. მხოლოდ ის ნაციონალიზმია ღირებული, რომელსაც აქვს თავისი საზღვრებიდან გაღწევისა და პოლიეთნიკურ უნივერსალიზმად ქცევის პოტენცია. ხალხთა თვითგამორკვევის, სუვერენიტეტისა და ეთნიკური თვითმყოფადობის პრინციპი არ გამოდგება კოსმოპოლიტიზმისა და საიმპერიო უნივერსალიზმის თვითკმარ არგუმენტად.

განათლების სფეროში, ასევე პოლიტიკურ მენეჯმენტში, ხშირად ითქმოდა და ითქმის ფრაზები „ჩვენი პლანეტის ოჯახი", „ცივილიზებული სამყაროს პლანეტარული ცნობიერება". ამით სურთ წარმოაჩინონ, რომ ადამიანმა უკვე მიაღწია პლანეტის მასშტაბს აზროვნებაში და, მაშასადამე, ის პლანეტის მოქალაქეა, ჭეშმარიტი კოსმოპოლიტია. სურთ წარმოაჩინონ, რომ თანამედროვე პაიდეიამ უკვე მიაღწია ამ სანუკვარ მიზანს.

ერთურთის პარალელურად მიმდინარეობს მსოფლიოში გლობალური უნიფიკაცია და გლობალური ეთნიკური ფრაგმენტაცია. გაიმარჯვებს გლობალური უნიფიკაცია. საგანმანათლებლო უტოპიზმი (დადებითი აზრით) და მისგან გამოსული მარქსიზმი ეთნიკურ ფრაგმენტაციას და მთელს მის პრეტენზიებს საზრისსა და სტატუსს ანიჭებდა, აყენებდა რა მას სოციალისტური ორიენტაციის გზაზე. დღეისთვის ეს აღარაა და არც იქნება მეტად. სულაც არაა მსოფლიოში

დესტაბილიზაციის გამომწვევი, თუ გაეროს, ამერიკელ მონდიალისტთაგანვე ხშირად იგნორირებული ამ მონდიალისტური ორგანიზაციის წევრი გახდება ორი თუ სამი ათეული ეთნიკური ერთეული. ეთნიკურ ჰეტეროგენიზაციას მოკლე გზა აქვს.

საბჭოთა ხალხების შერწყმის თეორია, საბჭოთა ადამიანის იდეალი დისიდენტებმა თვითმყოფადობის სახელით სასაცილოდ აიგდეს. ამერიკელ და დასავლეთევროპელ მონდიალისტებს იგივე განზრახვა აქვთ. იმპერიული ჰომოგენიზაციის მიღწევას ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელი ცდილობდა. ამერიკელი იმპერიალისტები მსოფლიოს ჰომოგენიზაციის მიღწევას soft power-ის მეშვეობით ცდილობენ. მათ მიაჩნიათ, რომ ხალხების თავისებურებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამერიკანიზმის ძღვენი ყველამ უნდა მიიღოს. კი ამბობს ჯოზეფ ნაი, რომ „გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ გლობალიზაცია არ ახდენს მსოფლიოს კულტურების ჰომოგენიზებას“ (**Contrary to conventional wisdom, globalization is not homogenizing the cultures of the world. Joseph S. Nye. The Paradox of American Power.Why the World's only Superpower can't go it alone.Oxford University Press.2002. p. 95**), მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რაღა საჭიროა ამდენი მსჯელობა ამერიკის იმპერიაზე, მის განმტკიცებაზე? იმპერია თავისი არსებით ჰომოგენიზაციისა და უნიფიკაციისაკენ მიიდრიკება. ეს იყო და არის იმპერიათა წესი.

ნობელიანტი ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი (**Stiglitz**) თავის წიგნში **Globalization and Its Discontents. Penguin Books, 2002**, მიმოიხილავს აზიური ქვეყნების მდგომარეობას, წერს **IMF**-ის (საერთაშ. სავალუტო ფონდის) საქმიანობაზე და ამბობს: „გლობალიზაციის კრიტიკოსები ბრალს სდებენ დასავლურ ქვეყნებს თვალთმაქცობაში (**hypocrisy**) და ეს კრიტიკოსები მართალნი არიან” (გვ. 6). სტიგლიცის თქმით, გლობალიზაციის ფენომენი არის ქვეყნებისა და ხალხების უფრო მჭიდრო ინტეგრაცია.

ყოველ დიდ მოაზროვნეს აფიქრებდა ერთი მსოფლიოს საკითხი. კი, თვითგამორკვევა, სუვერენიტეტი და მისი ატრიბუტები, მაგრამ იმის გარდა რომ ყოველმა ეთნოსმა თვითმყოფადობის ნიშნად თავისი ქოთნები გამოფინოს, არის კიდევ რაღაც დიდი. ფუკუიამა მსჯელობს უკანასკნელ ადამიანზე ნიცშეს დარად. უკანასკნელ ხალხებზე უნდა იყოს მსჯელობა. ეს ჯერ კიდევ პლატონთან არის. უკანასკნელი მიზიელი ელინებთან ნიშნავდა უსაზიზღრეს ადამიანს მიზიაში მცხოვრები უკანასკნელი ხალხიდან. უკანასკნელობა არ დაიფარება ადამიანის უფლებებზე ლაპარაკით. ამერიკელთა მიერ ყოველმხრივ წახალისებული ეთნონარცისული ბალაგანი დამთავრდა. ლიბერალური ფრაზებით გამშვენებული ტრაიბალური ბურლესკი ამერიკანიზმის კომპრო-

მეტაციად იქცა. ოცი წელი თავს იტყუებდნენ ამერიკელები, რომ მათ მიზიაში შეიძინეს იდეური მომხრეები. მიზიელების ლიბერალური კომილფო ამერიკელთათვის ფულის დატყუების მიზნით, პოლიტიკური კომენსალიზმი, საკუთარი წარსულის თეატრალური ვიკტიმიზაცია და ამერიკელებისკენ მათხოვრულად თვალის გაპარება, ეთნიკური პოლისიმეიკერების დასავლეთში სიარული. ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ ეს ყოველივე ლიბერალიზმს დაამკვიდრებდა. მიზიელები მიზიელებად დარჩნენ.

იმანუილ კანტიც, ოგიუსტ კონტიც და სხვებიც წერდნენ ადამიანთა გლობალურ ერთობაზე. რონალდ რეიგანის დროს ხსენდებოდა ნეოგლობალიზმის იდეა. ერთი მსოფლიოს კურთხეული ჟამის დადგომას იუწყებოდნენ წინასწარმეტყველნი. ყრმა ლომს გაუძღვებოდა წინ და აღისპობოდა ყოველი ბოროტება. ეს აზრი გამოითქმოდა ქილიასტურ სწავლებებშიც. ამაზე მიუთითებენ ამერიკელი პროტესტანტი მისიონერები.

ნიცშეს სურვილი იყო კოსმოპოლიტ არისტოკრატთა დასის შექმნა, რომელიც მსოფლიოს მმართველი იქნებოდა. ნაშრომში „მგზავრი და მისი ჩრდილი", პარ. 87, ნიცშე მსჯელობს, რომ თუ გვსურს ჩვენი ესმოდეთ მსოფლიოს ხალხებს, ამისთვის „თითოეულ განათლებულ ევროპელს უნდა შეეძლოს სულ უფრო უკეთ წერა". ეს მას კურსივით აქვს გამოყოფილი. აქვე ნიცშე საუბრობს იმ შორეული წყობილების მომზადებაზე, როდესაც ევროპელებს ექნებათ შესაძლებლობა, განახორციელონ მათი დიდი ამოცანა: მთელი მსოფლიოს კულტურის ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა. ნიცშეს თქმით, ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ის ხალხებს მიუთითებს სულ უფრო მზარდი ნაციონალიზმისაკენ და იგი არის თავისუფალ მოაზროვნეთა მტერი.

იმპერიას აქვს თავისი **virtutes et peccata** (ღირსებანი და ზადიერებანი ცოდვები), მაგრამ ერთი რამ უთუოდ სათქმელია: მართლა დასრულება ისტორიისა და გლობალური ფოსილიზაცია, დამყაყება კაცთა მოდგმისა მაშინ მოხდება, თუ არსად არ იქნება იმპერია თუ მთელ მსოფლიოში აბსოლუტურად განხორციელდება ევროპულ დეკლარაციებსა და კონვენციებში გადმოცემული პრინციპები თვითგამორკვევისა და სუვერენიტეტების უზენაესობის შესახებ, თუ ყველგან იქნება **nation-states** (ნაცია-სახელმწიფოები) და არაფერი იქნება ამის გარდა. ადამიანის ისტორია არის ნაციისა და იმპერიის დიალექტიკა და იმპერია ყოველთვის წინ უსწრებს ეთნონაციონალურ სეპარატიზმს. ეთნონაციონალიზმს იმპერია ასულდგმულებს უკვე თავისი არსებობით და მის გარეშე ეთნონაციონალიზმს არა აქვს არანაირი თვითკმარი ღირებულება. ამ დიალექტიკის კარგი მაგალითია ამერიკისა და ინ-

გლისის ურთიერთობა. ბრიტანეთი შეეწინააღმდეგა ამერიკის დამოუკიდებლობას და შემდეგ ბრიტანული იმპერია თავად იქცა ამერიკის იმპერიის ნაწილად.

იმპერიული პროთიმია (გზნება) ტელესიურგიულია (მიზნის მქმნელია). ის ქმნის იმპერიული თანაცხოვრების მიზანს მრავალი ხალხისათვის. განა ისტორია სულ ამას არ ისწავლება? ადამიანი იმდენად არის **homo historicus** რამდენადაც ის არის **homo imperiosus.** ისტორიის შემოქმედია იმპერიალისტი. ეთნონაციონალისტი კი ქმნის ისტორიის იმიტაციას. ის ყოველთვის სიმულანტი და იდეური პარაზიტია. განუწყვეტელმა აპელაციებმა სუვერენიტეტისადმი განადიდა სწორედ იმპერიის იდეა. ასეც უნდა ყოფილიყო. ეთნიკური სუვერენიტეტი არაა უმაღლესი და აბსოლუტური მდგომარეობა. **History** ვერ იქნება **story.** ეთნიკური **good story** ვერ იქნება ისტორია, რასაც წლობით ცდილობენ. ნარცისული ნარატოლოგია არაა ისტორიის ცოდნა.

მიწა ყოველთვის მეომარს და იდეისათვის მსხვერპლვას მოითხოვს. გეა შობს ურჩხულებსაც და ღმერთებსაც. ისტორიაში ურჩხულები სჭარბობდნენ ღმერთებს. იმპერიის არსებობით, იმპერიული დეონტოლოგიითა და ტელესიურგიით მართლდება ჭეშმარიტი და ქველი მამრი. მისი სამშობლო მსოფლიოა. წარმართმა იმპერატორმა მარკუს ავრელიუსმა, რომლის ქრისტიანობაზე მოქცევას ვერ მიაღწიეს მასთან მისულმა პროზელიტებმა, მომდევნო თაობებს მაგალითად დაუტოვა იმპერიისათვის ბრძოლა. ბაბილონის გოდოლი ისევ და ისევ მოუხმობს ყოველ კაცს.

ოქტომბერი 2011